# ივერია

გაზეთის ფასი

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



## Отъ конторы редакцiи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.


## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


### ქართული თეატრი

—

გაიმართა ხელის-მოწერა გამოჩენილის ტრაგიკოსის **ერნესტო როსის** და იმის დასის თითოეულ წარმოდგენის ბილეთების ცალკე.

შაბათს, 26 მაისს გაჰმართავენ
1 წარმოდგენას, მე-2 აბონემენტისას
**მეფე ლირი.**

კვირას, 27 მაისს
1 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**ოტელო.**

სამშაბათს, 29 მაისს
მე-2 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**ლაუდოვიკ მე-XI.**

ხუთშაბათს, 31 მაისს
მე-3 წარმოდგენა 2 აბონემენტისა
**ჰამლეტი.**

შაბათს, 2 თიბათვეს
მე-4 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**კინი.**

კვირას, 3 თიბათვეს
მე-2 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**მაკბეტი.**

სამშაბათს, 5 თიბათვეს
მე-3 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**დამნაშავის ოჯახი.**

ხუთშაბათს, 7 თიბათვეს
მე-4 წარმოდგ. 2 აბონემენტ.
**კორიოლანი.**

შაბათს, 9 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**ნერონი.**

კვირას, 10 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**შეილოკი,**
ანუ ვენეციელი ვაჭარი.

ფასები აფიშებზეა გამოცხადებული. ბილეთებში აღებული ფული ბ-ნის როსის მოსვლამდე დასითურთ საკომერციო ბანკში ინახება. კასსა ღიაა დილის 10-დგან 2 საათამდე და საღამოს 5-დგან 7 საათამდე.

(10—8)

### განცხადება

ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა.

(იხილე მე-4 გვერდზედ)

გამოვიდა და ისყიდება
გოლოვინის პროსპექტზე, როტინოვის სახლებში, ზ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

უცხოეთის მწერლები

**პრუდონი**

გამოცემული
გიგო თოიძისაგან
ფასი 20 კაპეიკი

(3—1)


ტფილისი, 24 მაისი

წინა წერილებიდამ მკითხველი ცხადად დაინახავდა, რა სამწუხარო მდგომარეობაშია ჩვენი სასოფლო პურის მაღაზიები. ოცის წლის განმავლობაში პურის მაღაზიამ ვერ მოიკიდა რიგიანად ფეხი და ამიტომაც ვერ შეასრულა თავისი პირდაპირი დანიშნულება— გამოკვება ხალხისა მოუსავლიან წელში. იმავე წერილებში იყო ნათქვამი, რომ პურის მაღაზიების საქმე რო კარგად წასულიყო, ახლა ჩვენს გლეხობას დიდი თანხა ექნებოდა და მის ბედს ყველა მკჭნატრებდა. იმ ფულით შეეძლო მთელის ტფილისის გუბერნიის გლეხობას ადვილად გაესტუმრებინა ყველა თავისი სასოფლო საჭიროება, ეყიდნა მამულები, გაეკეთებინა გზები, სკოლები, სახალხო ბიბლიოთეკები, დაეარსებინა აფთიაქები, გაეყვანა არხები, საცა საჭირო იქნებოდა, ეწამლა ვენახებისთვის და სხვანი. ერთის სიტყვით, სოფელს ადვილად შეეძლო ყველა თავის საჭიროებას პირნათლად გასძღოლოდა. სამწუხაროდ ეს არ მოხდა და ამისთვისაც ჩვენი გლეხობა ეხლა ისე უღონო და უძლურია, რომ, არამც თუ სკოლებს ვერ აარსებს, ან თუ აარსებს, რის ვაი-ვაგლახით აგროვებს რაღაც საცოდავ ოც-და-ათ თუმანს, არამედ შეძლება არა აქვს, ათის დღის მიწა რომ იყიდებოდეს სოფელში, მოახერხოს მისი სასოფლოდ შეძენა და მისთვის საჭირო მამული ვისმე გიდამთიელს, ან მედუქნეს და ხალხის სისხლის მწოველს უნდა ჩაუვარდეს. ამ არა სანატრელ მდგომარეობას გლეხობისას აწინდელმა გუბერნატორმა მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და დანიშნა ხუთის კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაავალა, საფუძვლიანად გამოიკვლიოს ეს საგანი და იღონოს ისეთი რამ, მოუძებნოს ისეთი საშუალება ჩვენს ყოველის მხრით უკან ჩამორჩენილ სოფელს, რომ შეეძლოს ადვილად გასტუმრება ზემოდ ჩამოთვლილის სასოფლო საჭიროებისა. კომისია უკვე შეუდგა ბ-ნ გუბერნატორის მინდობილების შესრულებას, მაგრამ ამ საგანზე ვრცლად და დაწვრილებით საუბარი ჯერ-ჯერობით უხერხულად და უდროოდ მიგვაჩნია.

მაგრამ რაც გლეხობამ ვერ შესძლო უვიცობისა და უთაურობის გამო, შეიძლება ჩვენის ერის უპირველესმა წოდებამ მოახერხოს და შეადგინოს იმისთანა თანხა, რომელსაც შეეძლოს, თუ ყველა საზოგადო საჭიროებას არა, ზოგიერთს მაინც გასცეს პასუხი? განა ჩვენი თავად-აზნაურობა ნაკლებ საჭიროებს შველა-დახმარებას? თუ მეტად არა, ვგონებთ, ნაკლებ არც ამას უჭირს. აგერ ათი წელიწადია, თავად-აზნაურობამ დააპირა თანხის შედგენა სკოლების გასამართად, და ჯერ ერთი გროშიც არ შეუგროვებია. სულ იმას გაიძახიან, გავდარიბდით და რა გადავდოთ მაგ საქმისათვისაო. სადგილ-მამულო ბანკი რომ არ იყოს, აქამდისინ სათავად-აზნაურო სკოლას სული ამოხდებოდა. არამც თუ სათავად-აზნაურო სკოლას, პეტროვცემულ წინამძღვრიშვილის სკოლასაც-კი აღარ შეეძლებოდა არსებობა, იგივე ბანკი რომ დროზედ არ მიშველებოდა. ენერგია, თაოსნობა, ურომლისოდაც არა რაიმე საქმე წინ არ წავა და გეთილდღეობას ვერ მიაღწევს ვერც ერთი ერი, რაც უნდა დიდის ბუნების ნიჭით იყოს მომადლებული და რაც უნდა უხვი და მდიდარი ბუნება ჰქონდეს, თუ ამ ორ უპირველეს თვისებას არის მოკლებული, დროა გამოიჩინოს ჩვენმა თავად-აზნაურობამაც და გაიჩინოს ან თავისთვის ცალკე, ან სხვა წოდებასთან ერთად იმისთანა თანხა, რომელსაც შეეძლოს ყველა მისი საჭიროების დაკმაყოფილება. თავად-აზნაურობას შეუძლიან ადვილი გზა აირჩიოს იმ სანატრელის თანხის შედგენისათვის, ისეთი გზა, რომელიც არაფრით საძნელო არ არის. საჭიროა მხოლოდ ერთგულად და სიყვარულით მოეკიდონ საქმეს და დარწმუნებული ვართ, ხუთ-ექვს წელიწადს შესდგება ისეთი ფული, რაც საკმარისი იქნება ზემოდ ჩამოთვლილის საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ჩვენ ვლაპარაკობთ კომლეულად პურის გამოღებაზე. მთელ ტფილისის გუბერნიაში ითვლება 6,500 კომლამდის თავად-აზნაური

## ფელეტონი

### სამშობლოს ძლიერი

სიყვარული, ანუ ექსტაზი*)

ფლორენციაში მაქვს საანტროპოლოგიო მუზეი. მუზეის ერთს შკაფში მილაგია გამოჩენილის კაცების ხახეები. ამ კაცთა შორის არის ერთის კაცის თავი, რომელიც ყველა მნახველის ყურადღებას იზიდავს. ვინც მუზეის სანახავად მოდის, უსათუოდ ამ შკაფის წინ შესდგება ხოლმე და დამეკითხება: ეს თავი უსათუოდ წმინდანისა იქნებაო?

— სწორედ მიხვდით: ეს თავი წმინდანს ეკუთვნის და სკულპტორმა თვით მიცვალებულის ცხედარიდამ გადაიღო.

— მერე ვინ არის ეგ წმინდანი?

— ეგ გახლავთ ჯუზეპე მაძინი.

ამ დაკითხვაში, რომელიც უნებურად წამოსცდება ხოლმე მუზეის მნახველს, იხატება მთელი ცხოვრება იმ კაცისა, რომელსაც გაგიჟებით უყვარდა თავისი სამშობლო და თავის გრძნობა მამულის მოყვარეობისა სარწმუნოებად, რელიგიად ჰქონდა გადაქცეული. მან თვით აღნიშნა თავის ადგილი იტალიის გონების ისტორიაში, როდესაც თავის დროშაზედ დააწერა: ღმერთი და ერიო,—ეს ორი სიტყვა, ერთი-ერთმანეთზედ ერთიცა და მეორეც უფრო მისტიური, უფრო საიდუმლო და უფრო გამოურკვეველი.

სამშობლოს სიყვარული ერთი უდიდებულესი, მაგრამ იმავე დროს ერთი გამოურკვეველი გრძნობაა.

ნადირ-მზგავსის ერისათვის სამშობლო იგივეა, რაც ბუდე ფრინველისათვის, ბუნაგი გარეულ ნადირისათვის. სახლი, საცა დაიბადა, ხე, რომლის ქვეშაც ეძინა, მდინარე, საცა ბანაობდა, ტყე, რომელშიაც ნადირობდა, მიწა, საცა ცხოვრობენ მისივე მსგავსი ადამიანისშვილები, იმისავით მოლაპარაკენი და მოძულენი სხვა ერისა,—აი ეს არის მისთვის სამშობლო.

სამშობლო,—შემორტყმულია ზღვითა თუ არა,—ყოველთვის განმარტოებულს კუნძულს შეადგენს, და ვინც განმარტოებული ცხოვრობს, უნებურად შეეთვისება ყველა იმათ, რომელნიც იმავე საპყრობილეში არიან.

ვისაც თავის სამშობლო არ უყვარს, იგი წამხდარია გულით და მახინჯი გრძნობით. მაგრამ ვხედავთ მომავალში უკეთეს დროს, როდესაც კაცისათვის სამშობლო გახდება მთელი ჩვენი დედამიწა და უცხოებად ჩავსთვლით სხვა ქვეყნების მცხოვრებთ, რომელთაც ერთს დროს უსათუოდ გამოველაპარაკებით, ან იქნება ომიც ავუტეხოთ.

სამშობლოს სიყვარული ერთსა და იმავე დროს დედა-შვილური და მისტიური გრძნობაც არის, ნაზიცა და [illegible] მისთვის. რომ სამშობლო საზოგადო დედაა ყველა იმათთვის, რომელნიც ერთსა და იმავე ენაზედ ლაპარაკობენ, ერთსა და იმავე ღმერთზედ ფიქრობენ და ერთსა და იმავე სისხლსა ჰლევიან. მისტიურია მისთვის, რომ სამშობლოს ვერც ვაკოცებთ, ვერც მოვეხვევით, მისთვის, რომ იმის საზღვრები აღბეჭდილია რუკაზედ, რომელიც გეოგრაფიულს ატლასში-კი არა, კაცის გულში იმყოფება.

სამშობლო ერთი იმ წრეთაგანია დანტეს სამოთხისა, სადაც ერთის პატარა წრის გარშემო სხვა დიდი წრეები კეთდება, მსგავსად იმ ტალღებისა, რომელსაც ვხედავთ ხოლმე წყალში ქვის ჩაგდების დროს. დაწყებული საყვარელ სოფლიდამ, სადაც ჩვენ დავიბადენით და იმედი გვაქვს იქვე დავიმარხოთ, ვიდრე მაზრებსა, ქალაქებსა და სამეფოებამდის სამშობლო სულ იზრდება და იზრდება და თან მიაქვს ნაზნი მიმორხევანი ჩვენის გულისა, ჩვენი შემკვლელება, ჩვენი ეროვნული დიდება.

ის პატარა ნაჭერი ფარჩისა, რომელსაც ჩვენს დროშას ვეძახით, რომელიც შეიძლება მზემა და წვიმამ [illegible], ის ნაჭერი ფარჩისა, რომელიც მხოლოდ რამდენსამე მანათად ღირს და რომელიც შეიძლება ნაპერწკალმა ფერფლად აქციოს, არის სიმბოლო ანუ, ნიშანი ყველა იმ გრძნობათა, რომლისათვისაც ჩვენ მხოლოდ ერთი სახელი გვაქვს და სადაც ეს დროშა გაფრიალდება, იქ არის ჩვენი სამშობლო, იქ ერთს სიტყვაში იხატება და იგულისხმება საზოგადო მოგონებანი, საზოგადო ჭირი და ლხინი და საზოგადო დიდება. ყველა ამ გრძნობას ის ერთი სიტყვა ასულდგმულებს და ახორციელებს.

ვინც ამ გრძნობის გარკვევას, ანალიზს განიზრახავს, ამაოდ დაშვრება. თუ ის ამას თავის თავისთვის სჩადის, იგი უარჰყოფს იმას, რაც თავის დღეში არა ყოფილა. თუ სხვისთვის სჩადის, ხდება მლაღაჯებელი უდაბნოსა შინა იმისათვის, რომ ვერავითარს სა-

*) წელს დაიბეჭდა იტალიურიდამ რუსულს ენაზედ გადმოთარგმნილი პროფესორის მანტეგაცას თხზულება „ექსტაზი კაცისა". ჩვენ განვიზრახეთ ამ თხზულების ზოგიერთა ადგილების გადმოთარგმნა ქართულად. რადგან ამ წერილებში ხშირად შეხვდება მკითხველს სიტყვა ექსტაზი, ამისათვის ჩვენ ეხლავე განვმარტავთ ამ სიტყვას ავტორისამებრ. ლექსიკონში ამ სიტყვის მნიშვნელობა ასეა განმარტებული: „ექსტაზი ნიშნავს აღფრთოვანებას სულისას განსაჭვრეტად საგანთა, რომელნიც კაცის გონებას აღემატებიან". მაგრამ მანტეგაცა არ ეთანხმება ამ განმარტებას და ამბობს, რომ ექსტაზი ჰგავს დათრობასაც, გალუცინაციასაც, სომნამბულიზმსაც, ბოდვასაც, კატალეპსიასაც, მაგრამ არც ერთს ამ მდგომარეობას-კი სრულად არა გავსო. ექსტაზი ყოველთვის განსაკუთრებული, დროებითი მდგომარეობაა და მომეტებული ნაწილი ხალხისა მის სიტკბოებას ვერ იგემებსო. ბევრი გაუნათლებელი ხალხი წარმოდგენითაც-კი ვერ წარმოიდგენს ამასო. ერთის სიტყვით, ეს ექსტაზი ნიშნავს იმისთანა მდგომარეობას, როდესაც კაცი თავის თავის გარეშე იმყოფება, ანუ უკედ გსთქვათ, როდესაც იგი თავის თავს აღარ ეკუთვნისო.

მთარგმნელი

და ბეგი. წელიწადში რომ კომლმა ერთი კოდი შეიტანოს, შესდგება 6,500 კოდი, ღირებული სულ ცოტა 26,000 მანეთად. მაშასადამე, ათის წლის შემდეგ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ექმნება თითქმის 300,000 მანათი, სარგებელსაც რომ ზედ მივიდეთ. ამოდენავე თანხა შესდგება, რასაკვირველია, ქუთაისის გუბერნიაში; მაშასადამე სულ იქნება თითქმის 600,000 მანათი. ეს ფული იმოდენა ფულია, რომ ვერც ქუთაისის და ვერც ტფილისის საადგილ-მამულო ბანკი იმოდენა თანხას ვერ გადასდებენ საზოგადო საჭიროებისათვის. წელიწადში-კი თითო კოდის პურისა თუ სიმინდის გამოღება ხომ გასაჭირი არ იქნება. ვიმეორებთ, თაოსნობა და ენერგიაა საჭირო, თორემ საქმე მალე დაგვირგვინდება კეთილად. თუ-კი საქართველოს სამღვდელოება ახერხებს ამოდენა სკოლების შენახვას (ზოგი მღვდელი წელიწადში იხდის სამ-ოთხ თუმნამდე) ნუ თუ მამულიან თავად-აზნაურობას გაუჭირდება წელიწადში ერთის კოდის პურის გაღება? არა გვგონია. თუ როგორ უნდა აღსრულდეს ეს სურვილი, რასაკვირველია, ჯერ-ჯერობით მეტი იქნება ლაპარაკი. მხოლოდ ვიტყვით, რომ ახლავე შეიძლება მაზრის წინამძღოლთ დანიშნონ კომისიები და დაავალონ, შეიმუშაონ მცირედი წესდება და წელსვე შემოდგომაზე მიჰყონ ხელი საქმეს.

თუ ეს სანატრელი საქმე ჩვენმა თავად-აზნაურობამ სისრულეში მოიყვანა, სწორედ დიდ და საშვილიშვილო საქმეს დაუდებს საფუძველს.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

⁂ ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი: „უცხოეთის მწერლები, პრუდონი“, დაბეჭდილი გიგო თოიძის მიერ. წიგნი კარგა მოზრდილია, 90 გვერდს შეიცავს და ღირს 20 კაპ. ბოლოს აწერია სათაური ასოები წიგნის ავტორის სახელისა და გვარისა: ზ. ჭ—ძე. წიგნის ბოლოსვე ჩართულია განცხადება, რომ მზადდება დასაბეჭდად ახალი წიგნი: „ქართული მწერლობა მეცხრამეტე საუკუნეში“. შინაარსი ამ ახალის წიგნისაც ვრცლად მოხსენებულია. უცნობი ავტორი ამ ჯერ დაუბეჭდველის წიგნისა მოიხსენებს ყველა შესამჩნევს მწერლებს, რომელნიც-კი ყოფილან საქართველოში 1821 წლიდამ დღემდე, ყველა ჟურნალ-გაზეთებს, რომელიც დაარსებულა ამ ხანში, ან არსებობს დღეს და ამბობს ბოლოს, რომ წიგნში იქნება ლაპარაკი ყველა ამ გამოცემათა რედაქტორებისა და თანამშრომლების შესახებათ. აღწერილი იქმნება იმათი ერთმანეთთან დამოკიდებულება, პოლემიკა, კრიტიკა, მიმართულება, ბიოგრაფიული ცნობები, მათი განვითარება და სხვ.“... „ყველა ესენი დაწერილებით და დალაგებით არიან აღწერილნი და გაცნობილნიო. ამის გარდა აქვე აღწერილია ყველა ის ღირსშესანიშნავი ამბები, რაც-კი ჩვენს მწერლობაში მომხდარა და შეეხება მას“. ყველა ეს ძალიან კარგი და პატიოსანი, მხოლოდ ამ დასაბეჭდად მომზადებულის წიგნის პროგრამა მეტად ვრცელი გვგონია და ვეჭობთ, რომ მისი რიგიანად შესრულება შესაძლებელი იყოს, მერე ისიც ერთის კაცისათვის.

⁂ ჩვენ თავის დროზე ვაცნობეთ მკითხველს, რომ ტფილისში იმართება ბავშთა მფარველი საზოგადოება, რომლის წესდებაც წარდგენილ იყო ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის კანცელიარიაში, რათა აქედგან გაეგზავნათ დასამტკიცებლად პეტერბურგს. ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა ჰპოვა, რომ წესდებაში ბევრი იმ ნაირი მუხლია, რომელიც შეეხება საქველ-მოქმედო საზოგადოებას და ურიგო არ იქნება საქველ-მოქმედო საზოგადოებამაც შემწეობა აღმოუჩინოს ბავშთა მფარველ საზოგადოებასაო ბავშვების აღზრდაში, სწავლა განათლებასა და სხვ. ამის გამო ქ-ნ შერემეტევის თავ-მჯდომარეობით მოჰხდა კრება, სადაც გუბერნატორის გარდა, ბრძანდებოდა მის მაღალ ყოვლად უს. მღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალლადი და მრავალი გენერლები, რომელთაც დაიწუნეს ზოგიერთი მუხლი წესდებისა და ზოგი-კი შეასწორეს და ამ თთვის 23 ხელიც მოაწერეს. წესდება მაისის გასულს გაიგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროში დასამტკიცებლად.

⁂ სახელმწიფო რკინის გზის დროებითის სამმართველოსაგან გამოგზავნილი კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს დაბოლოვებით გამოირკვიოს ჩვენის რკინის გზის ავ-კარგიანობა და რკინის გზაზე მოხელეთა ყოფა-მდგომარეობა, გუშინ, 24 მაისს, საგანგებო მატარებლით გაემგზავრა ბათუმის მხარეს. ესევე კომისია ამ ერთის კვირის წინად ბაქოს მხარეს იყო და იქიდგან დაბრუნების შემდეგ დღემდის ტფილისის სადგურზე მუშაობდა. როგორც ისმის, კომისიას ზოგიერთა სადგურის შეკეთება და უკეთ მოწყობა აუცილებლად უცვნია, რადგან ბაქოს მხრის ზოგიერთ სადგურს ისეთი უმსგავსი ადგილ-მდებარეობა აქვს, რომ იქ მყოფნი მოსამსახურენი მომეტებულ ნაწილად ავადმყოფობენ და ამის გამო სამსახურის რიგიანი მცოდნე ძნელად თანხმდება ბაქოს მხარესკენ სამსახურს. ამას გარდა კომისიას საჭიროდ უცვნია იშუამდგომლოს გზათა მინისტრის წინაშე, რომ ჩვენის რკინის გზის მოხელეთ ჯამაგირი მოემატოს; განსაკუთრებით უფრო გზის „მოძრაობის“ მოხელეთ უნდა მოემატოს ჯამაგირი, რადგანაც დღემდე სხვა სამსახურთან შედარებით „მოძრაობის“ სამსახურის მოხელენი ძლიერ მცირე ჯამაგირს იღებენ. როცა კომისია ბათუმიდგან დაბრუნდება, მთელის გზის ცნობებს თავს მოუყრის და პეტერბურგს გაემგზავრება.

⁂ კვირას, 27 მაისს, მეორე გიმნაზიის ღარიბ შეგირდების სასარგებლოდ, რომელნიც წელს კურსს ასრულებენ, „ევროპის“ ბაღში გამართული იქნება ლატარია-ალეგრი. ბაღში სხვათა შორის ბავშების ცეკვა-თამაშიც იქნება.

⁂ ქუთაისი: 16 მაისს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელ წევრთა კრებამ დაადგინა, გადიდოს 200 მანათი მათ უდიდებულესობათა სასწაულებრივის გადარჩენის სახსოვრად ასაშენებელ ეკკლესიის სასარგებლოდ, მიეცეს 550 მანათი ახლად დაარსებულს კერძო საავადმყოფოს ბ-ნ თოფურიას, 200 მანათი სტუდენტს იოსელიანს, 200 მან. ბ-ნ კერესელიძეს, 500 მან. წინამძღვრიანთკარის სკოლას. გარდა ამისა ვენახების წამლობისათვის გადადებულ იქმნა 1,200 მანათი და თავ. აკაკი წერეთელმა იმ ფულიდგან, რომელიც შარშან კრებამ დაუნიშნა, რამდენიმე ნაწილი სტუდენტებს გაბუნიასა და ჟორდანიას დაუთმო.

⁂ სოფ. ხუმლაგაშა შემდეგი საცოდაობა დატრიალდა: 11-ს ამ თთვეს ხუმლაგში მცხოვრებს თებო ყაითმაზოვს ეწვია სტუმრად ერთი ჩერქეზი. თებომ მიიღო ჩვეულებისამებრ ჩერქეზი იარაღი ჩამოართვა, შეიტანა სასტუმრო ოთახში და დაჰკიდა. პატარა ხანს შემდეგ, საუბედუროდ, თებოს ორი ვაჟი და ერთი ქალი შევიდნენ ზემო ოთახში, უფროსმა ვაჟმა ჩამოიღო რევოლვერი სტუმრისა და დაუწყო წვალება. თოფი უეცრად გავარდა, მოხვდა ტყვია იმის ექვსის წლის ძმას მარცხენა ფერდში და მარჯვენაში გავარდა. გავარდნილი ტყვია ახლა ქალს მოხვდა კოჭში და შიგ შერჩა. საბრალო ვაჟი მაშინვე გარდაიცვალა და ქალიც-კი უკანასკნელს დღეშია.

⁂ სოფ. მუზალა (კავკავის მაზრა): ამ თთვის პირველ რიცხვებში ნუზალელმა ოსმა მოჰკლა თავის მეზობელი ორი ძმა ერთად. მკვლელსა და მოკლულებს მინდვრად საძოვრად ჰყოლოდათ ცხვრები; ორთავეს მეცხვარეებს მოსვლოდათ ჩხუბი და მკვლელის მეცხვარეს ეცემნა მოკლულების მეცხვარეებისათვის. ამით გაჯავრებული ორივე ძმა ერთად დახვედროდა ცხენით მომავალს მკვლელს გზაში და დაეშინათ კეტები. მკვლელმა რომ შეატყო თავს, დამძლავენ კეტებითაო, ესროლა თოფი და მოჰკლა ერთი ძმა, მერე, მიაგდო ცხენი და მეორე ძმაც ხანჯლით ჩაჩეხა. ამის შემდეგ თითონაც სადღაც მიეფარა და დღესაც ვერ უპოვნიათ. გამოძიება სწარმოებს.

⁂ სოფ. ნატოჩაო (სენაკის მაზრა): მაისმა დიდი სიცხეები დაიჭირა. სიცხეებს ხალხის ჯანმრთელობისთვის არავითარი ზიანი არა მიუკიარა. მაისში აგერ თვეებზე და ერთი წვეთი წვიმა აღარ ჩამოვარდნილა, რის გამოც დედამიწა მთლად გახმა, დასკდა. გოლვის გამო ჩვენსკენ ხვნა-თესვა შეჩერებულია და ნაგვიანევს მოსავალს მოველით. შარშან ჩვენს სოფელში და აგრეთვე ყველგან ბლომად ესხა „იზაბელას“ ვაზს. ზოგიერთებს თითქმის ჭურჭელიც არ ეყოთ, წელს-კი, მგონია, ბევრს დარჩება ქვევრები ცარიელი, ვაზს ძლიერ ცოტა ასხია და იმასი შიშიცა გვაქვს, ვაი თუ გვალვამაც ავნოსო. აბრეშუმის ჭიის მოსავალსაც არა უშავდარა, გვალვას რომ არ წაეხდინა. ქურდობისა და ავაზაკობისა არა ისმისრა.

⁂ სოფ. კკი. გაზაფხული კარგი დაგვიდგა. ყანები, ქერები მშვენიერად ბიბინებს. ჩალთუქების თესვის დროც მოვიდა და ახლა გაცხარებული მუშაობაა. ჩალთუქების შემდეგ ახლა ფეტვების თესვას შეუდგებიან. პარკის ჭიაც კარგ მოსავალს გვპირდება. ხოლო ეს არის ჩვენი სანაღვლო, რომ ვენახებს ნაკლებად გეისხია და ძველი ხორბალიც ფრიად დაძვირდა.

⁂ „Нов. Вр.“-ის აზრუმელი კორესპონდენტი ამბობს, რომ აქეთკენ გაჩნდა ბრბო ავაზაკებისა, რომელთაც გასცარცვეს ამას წინად ერთი სოფელი სომეხ-კათოლიკეთაო. ამ ბრბოში, ოსმალთა სამხედრო სამსახურიდამ გამოსულ ჯარის-კაცთა გარდა, ურევია ოცამდე ქართველი კაცი, უკვე გაპაჰმადიანებულიო.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერი, ღ. პ. მასტიცკი, როგორც გაზ. „ტფ. ფურ.“ გაუგია, საადრესო სტოლის გამართვას აპირობს ტფილისში. ამ დაწესებულების საშუალებით მსურ-

---

ბუთებს და მჭევრმეტყველებას ვერასოდეს ვერ შეუმცირებია რომელიმე დიდი სიყვარული.

— ქალი, რომელიც შენ გიყვარს, სულ მდაბალი არსებაა. სანამ შენ შეიყვარებდი, ათასი სხვა უყვარდა.

— რაში მკითხება? მე ის მიყვარს.

— ღმერთი, რომელსაც შენ თაყვანსა სცემ, არასოდეს არა ყოფილა. იგი მხოლოდ უსაზარლესი კერპია და სხვა არარა.

— შენ თითონაც არ გესმის, რას ამბობ. ჩემი ღმერთი არსებობს და თაყვანსა ვცემ.

ესევე მოხდება, თუ მოვიწადინებთ ცალიერის საბუთებით კაცის გულიდამ სამშობლოს სიყვარულის აღმოფხვრას, როდესაც იგი კაცი გრძნობს, რომ ეს სიყვარული გულში უნთია, როდესაც ეს სიყვარული მას თავის სარწმუნოებად გადაჰქცევია და მზად არის შესწიროს ყოველისფერი, თვით თავის სისხლის უკანასკნელი წვეთიც-კი. იმავ თავითვე რჩეულ ვაჟკაცთ სამშობლოსათვის მსხვერპლად შეუწირავთ სიყვარული შვილებისა, დედისა, საყვარელის ქალისა. წადით ახლა და დააჯერეთ ეს კაცნი, რომ ჩვენი სამშობლოა მთელი ქვეყნიერობა და მისი სამზღვრები მხოლოდ პლანეტათა შორის არსებული სივრცე.

მას აქეთ, რაც ერნი არსებობენ, მას აქეთ, რაც ათას ნაირი ენა გაჩნდა, მას აქეთ, რაც ერთი ნაწილი ერისა მეორე ნაწილს ერისას აღარ იცნობს, მას აქეთ, რაც კაცსა და კაცს შორის დამკვიდრდა უფრო დიდი სულიერი განსხვავება, ვიდრე ძაღლსა და მგელს შორის, — მას აქეთ მამულის სიყვარულს კაცი ტყობილობს გონებით-კი არა, მხოლოდ გრძნობით, და ერი იმდენად უფრო მაღლა სდგას, რამდენადაც ეს გრძნობა უფრო განცხოველებული და განვითარებულია. ათას წილად მირჩევნია უგუნური შოვინიზმი, სინამ ურცხობა კაცისა, რომელიც დაცინვით იკითხავს: რა არის სამშობლოვო?

სამშობლო — მიწაა, რომლის ყოველი ხელის-დადება მამა-პაპათა სისხლით არის შეღებილი და მათისავე ოფლით მორწყული, რომლის თითო მუჭა მიწაში ჩვენთა წინაპართა მტვერია არეული. სამშობლო მიწაა რომელშიაც განისვენებს ჩვენი დედა და რომელშიაც განისვენებენ ჩვენი შვილები; სამშობლო ისტორიაა მთელის წარსულისა, ისტორიაა ესოდენ საუკუნეთა დიდებისა და უბედურებისა, რაც გამოსცადეს მათ, ვინც ჩვენ სიცოცხლე მოგვანიჭა. სამშობლო დედაა ყველა იმათი, რომელნიც ჩვენსავით ლაპარაკობენ და ჩვენსავით ჰგრძნობენ, ის მხარეა, რომლის ერთი სახელი, წარმოთქმული უცხოეთში, უფრო ძლიერად აძგერებს გულს და იძულებულ გვყოფს ვეამბოროთ უბრალო გაზეთის ფურცლებსაც-კი. ეს ის ძლიერი სიტყვაა, რომელიც აზვირთებს ერს, როდესაც ომის ხმას გაიგებს და ყოველის ქოხიდამ გამოიყვანს იარაღში ჩამჯდარს ვაჟკაცს და ყოველს ფანჯარაში დაგვენახვებს მტირალს ქალს. სამშობლო აი ის გრძნეული სიტყვაა, რომელიც შეჰქმნის ყოველს კაცს ჯარის კაცად და ყოველს ქალს წამებულობის გვირგვინით შემოსავს, რომელიც ატირებს ბავშვებს, რატომ ჩვენც ვაჟკაცნი არა ვართო, და მოხუცებს — რატომ იარაღის ტარება არ შეგვიძლიანო. სამშობლო აი ის წმინდა სიტყვაა, რომელიც გლეხს ხელიდამ გუთანს გააგდებინებს, ხელოსანს ხელობას დაათმობინებს, მეცნიერს — წიგნს, ბანკირს ობლიგაციებს, რომელიც აჰგლეჯავს ჭაბუკს საყვარელის ქალის გულიდამ და ყველას თავს მოუყრის ერთის დროშის ქვეშ, რომელსაც იგინი იმედითა და სასოებით შესცქერიან, ვითა გმირნი და წამებულნი.

რომელ სხვა საკურთხეველსა ჰყავს ესოდენნი თაყვანის მცემელნი? რომელ სხვა საკურთხეველსა ჰყავს ესოდენნი მოსავნი? რომელ სხვა საკურთხეველზედ იწირება ესოდენი მსხვერპლი! რომელ სხვა სიტყვას აქვს ასეთი ძლიერება? რომელი სხვა ექსტაზი აღემატება იმ ექსტაზს, რომლის წყალობითაც ოც-და-ათი მილიონი ხალხი ერთს საათში ძმები გახდნენ, ერთსა და იმავე სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი, ერთი და იგივე მძულვარება ჰქონდათ გულში და ერთსა და იმავე საგანს შესტრფოდნენ.

ჩვეულებრივს ექსტაზს სიყვარულისას სამშობლოს მიმართ ეკუთვნის ის ექსტაზიც, რომელსაც ვგრძნობთ სამშობლოში დაბრუნების დროს შემდეგ დიდის ხნის განშორებისა, და აგრეთვე ის ექსტაზიც, რომელსაც ვგრძნობთ დიდის დღესასწაულების, ან ეროვნულ ზეიმის დროს. პირველნაირს ექსტაზს კერძოდ ყველა თვითონა გრძნობს, ხოლო მეორე ნაირს ყველანი ერთად. მაგრამ ეს ორ გვარივე ექსტაზი უდიდებულესი გრძნობაა და ერთ ნაირს ნეტარებას ანიჭებს კაცს.

სამშობლოსთვის დადარდიანებულს კაცს სულით ავადმყოფს ეძახიან. ბედნიერნი არიან ისინი, რომელნიც ასეთის სულის ავადმყოფობით არიან ავად; მაგრამ რამდენად შესაბრალისნი არიან ის უბედურნი, რომელთაც უგულობის გამო, თუ იმის გამო, რომ ოცის თუ ოც-და ათის საუკუნით გვიან დაიბადნენ თავის დროზედ, არ შეუძლიანთ დასტკბნენ მოჯხიბლავის გრძნობით, რომელსაც გამოიწვევს სამშობლოში დაბრუნება შემდეგ დიდის ხნის განშორებისა. მე, რომელსაც დიდ ხანს მიცხოვრნია ქვეყნის მეორე ნახევარზედ და რომელსაც ორჯერ გამივლია ზღვა, ეს ექსტაზი რაგვარად გინდათ, რომ არ გამომეცადოს! მაინცა და მაინც ეს ექსტაზი ისე ძლიერად არას დროს არ გამომიცდია, როგორც ამ ბოლოს დროს, როდესაც ინდოეთში მოგზაურობიდგან სამშობლოში დავბრუნდი.

ი. ბ—ძე

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ველთ შეუძლიანთ ადვილად შეიტყონ, ვის სადა აქვს ბინა.

** გაზ. „კავკაზი“ ამბობს, რომ დღეს ტფილისში მოსკოვიდგან მოელიან კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს, გენერალ-ადიუტანტს ს. ა. შერემეტევს.

** რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებას კავკასიის სამოსწავლო ოლქის მოხელეთა და დაწესებულებათაგან 1581 მან. 48 კაპ. მიუღია ნიკოლოზ მიხეილის ძის პრჟევალსკის სახელობაზე პრემიისა და მედლის დასაარსებლად.

** ბ-ნი ხახანოვი სწერს გაზეთ „ახალ მიმოხილვას:“ მე წავიკითხე თქვენს გაზეთში წერილი, რომელიც შეეხება 1650 წელს ტოლჩანოვის იმერეთში ელჩად გაგზავნას. ამ ამბის ხელ-ნაწერი მე ვნახე გარეშე საქმეთა სამინისტროს არხივში და აღმოჩნდა, რომ იგი ბევრით განსხვავდება დაბეჭდილისაგან. ამიტომ თუ ამ წერილის გამოცემა ჰსურთ, საჭიროა, არხივში დაცულს ხელ-ნაწერსაც მიექცეს ყურადღება.

---

შეცდომის გასწორება: ჩვენის გაზეთის 104 ნომერში შეცდომით იყო ნათქვამი, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს არჩევანი დაიწყო დილის თორმეტის ნახევარზე და გათავდა ნაშუადღევის ორს საათზეო. უნდა ყოფილიყო: დაიწყო დილის თორმეტის ნახევარზე და გათავდა კენჭის ყრა ნაშუადღევის ორს საათზე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქუთაისი.** უკანასკნელი კრება სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა შესდგა 19 ამ თვისას. რასაკვირველია, რაკი კენჭის ყრა გათავდა, ამ უკანასკნელს კრებას ბევრად ნაკლები ხალხი დაესწრო. ბ-ნმა თავმჯდომარემ მოახსენა ბ-ნ წინამძღვარიშვილის მაგიერ მადლობა კრებას იმ შემწეობისათვის, რომელიც საზოგადოებამ აღმოუჩინა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლას. შემდეგ კრებას მოახსენდა, რომ ერთის გაჭირვებულის და დასნეულებულის აზნაურის ცოლი და ერთი მოსწავლე, სახელდობრ ყრუაშვილი, შემწეობას თხოულობენო. ამ ორის თხოვნის გარჩევა და დაკმაყოფილება კრებამ ერთ ხმად მიანდო ზედამხედველს კომიტეტს. შემდეგ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, თუ რომელსა და რომელს გაზეთში ბეჭდოს ბანკმა განცხადება. ეს ლაპარაკი გამოიწვია ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორის სარჩიელმა, რომ ბანკმა განცხადება ბეჭდოს „ქუთაისის საგუბერნიო უწყებაში“ და არა „კავკაზში“. აგრეთვე გამგეობამ და კომიტეტმა მოახსენეს კრებას, რომ კარგი იქნება „Правительственный Вѣстникъ“-ში ვბეჭდოთ მხოლოდ ათას მანათზე მეტად დაგირავებულის მამულების განცხადებაო, ხოლო ათას მანათზე ნაკლებად თუ არის დაგირავებული მამული, მაშინ განცხადება ადგილობრივ დაიბეჭდოსო. ამ საგნების ასე თუ ისე გადაწყვეტაც კრებამ ზედამხედველ კომიტეტს და გამგეობას მიანდო.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ის ცვლილება, რომელიც გამგეობას და ზედამხედველს კომიტეტს უნდა შემოეღო წესდებაში შესახებ ხმის გადაცემისა ერთის წევრისაგან მეორისათვის და ვექილობის შედგენისა. დღემდე ასე, რომ ვისაც ხმის გადაცემა უნდა სხვისათვის, ვექილობაზე ხელი უნდა მოაწეროს და ხელის მოწერის სინამდვილე უნდა შეამოწმოს ორმა კაცმა, ვინც უნდა იყვნენ. გამგეობის აზრით, ეს წესი შესაძლოა დარჩეს მხოლოდ იმათთვის, ვინც თავის ხმას გადასცემს მამას, შვილს, ქმარს თუ სიძეს, და სხვებისთვის-კი, ესე იგი არა ნათესავისათვის, შემოღებული უნდა იქმნას ახალი წესი, სახელდობრ დამოწმება ვექილობისა პოლიციაში, სანოტარიო წესით ან-და მამასახლისისაგან.

ამ საგანმა დიდი ბაასი და გაცხარება გამოიწვია. თ. მ. ლორთქიფანიძის აზრით, საჭიროა კრებამ მიიღოს ცვლილება, რადგანაც ხმის გადაცემისა და ვექილობის შედგენის დროს სიყალბე ადვილად ჩასადენიაო. სიყალბეს კიდევაც გვწამებენო და რომ ერთხელვე ჩავირეცხოთ ჭუჭყი და ჩირქი, აუცილებლად საჭიროა ახალის ცვლილების შემოღებაო. ამის წინააღმდეგ არავის ხმა არ ამოუღია და თითქო ყველამ აღიარა საქვეყნოდ, რომ ის ეჭვი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაზე აუღიათ, ნამდვილია, მაგრამ მოწინააღმდეგენი ცვლილების შემოღებისა მაინც გამოჩნდნენ.

ამავე საგნის შესახებ ილაპარაკა ბ-ნმა კ. ბ. ლორთქიფანიძემ, რომლის აზრით კარგი იქნება დრომდე ცვლილება შემოვიღოთ, და შემდეგ-კი დეპუტატების არჩევა თითო მაზრაში საზოგადო კრებაზე დასასწრებლად. კ. ლორთქიფანიძის აზრით, დეპუტატები ყოველთვის უკეთ განსჯიან საქმეს, ვინემ ორი ათასი და სამი ათასი კაცი, შემთხვევით ჩამოსული ქუთაისში.

ბ-ნმა ე. ქაჯაიამ, ბანკში მოსამსახურემ, რომელიც წევრთა სიებს სწერს და ვექილობას სინჯავს, სთქვა, რომ მე შემინიშნავს სიყალბეო და ამის საწინააღმდეგოდ საჭიროდ მიმაჩნია დამფუძნებელთათვის კვიტანციები შემოვიღოთო, ვინც ამ კვიტანციებს წარმოადგენს, იმას ხმაც მიეცესო. კრებამ მოიწონა ბ-ნ ქაჯაიას აზრი.

იმავე საგნის შესახებ ილაპარაკა ბ-ნმა აკაკიმ და კ. ლორთქიფანიძის აზრს მიემხრო, მაგრამ ერთმა, მცირე ნაწილმა კრებისამ, შექმნა ძახილი: „არ გვინდა! არაო“! და ამ სახით არც ერთი საგანი არ იქმნა გამორკვეული და გადაწყვეტილი.

## წერილი თიანეთიდამ.

თიანეთში გავრცელებულია ერთი სამწუხარო და შემაძრწუნებელი ჩვეულება, რომლის გამოისობით ხშირად ილუპება არა ერთი სული. ეს ჩვეულება გახლავთ, ეგრეთ წოდებული, ბოსლობა. ფშავ ხევსურების ბოსლობაზედ „ივერიაში“ დაბეჭდილ ეტნოგრაფიულ წერილებიდგან ზოგი რამ ეცოდინებათ ჩვენს მკითხველებს.

ხევსურები მოკვეთილნი არიან დანარჩენ ქვეყნიერობისაგან. აქ წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ გამოიელის ბოქაული ან მღვდელ-დიაკვანი, რომლებსაც უსახლ-კარობის გამო ზურგზედ ჰკიდიათ საზრდო-საკვები და სადაც დაუღამდებათ, იქვე გაუთენდებათ; იქვე ჩამოიხსნის დიაკვანი ქამარზედ ჩამოაბმულ ქვაბს, შემოსდგამს ცეცხლზედ და მოიხარშავს რაც ღმერთს მისთვის ურგუნებია. ხევსურმა იცის მარტო თავისი ცხოვრება. პირ იქით წინ არ იცის, თუ მისი მეზობელი ქართველები როგორ სცხოვრობენ, როგორ ექცევიან თავიანთ ცოლებს, მეტადრე რა სათუთად უვლიან ორსულ დედა-კაცებს. ამიტომ რა დასაძრახისნი არიან ეს მთიულნი, რომ მშობიარის მოვლა არ იციან.

რა არის ბოსელი და ბოსლობა?!

ბოსელს ბევრ გვარად აკეთებენ; მეტ ნაწილად სთხრიან ორმოებს, რომელსაც სიგრძე სიგანე ერთი საჟენი ექნება, სიმაღლე ორი არშინი; ვინც შეძლებულია, ბოსელს კრამიტით ხურავს, ღარიბი-კი ისევ მიწისავე ბანს უკეთებს! ხშირად სასინათლე არ საიდგან არა აქვს. ბოსლის ერთ მხარეს შემდგარია პატარა კარები, საიდგანაც მშობიარე დედაკაცი უნდა შეძვრ-გამოძვრეს. ლოგინის მაგიერ შიგ ჩალაა დაგებული. ბოსლებს აკეთებენ საცხოვრებელ-სახლების მოშორებით, ან-და სრულიად სოფლის გარეთად. ეს იმიტომ, რომ აქ საზოგადოდ ყველა დედა-კაცს უწმინდურად ჰხდიან, მშობიარეს ხომ რაღა თქმა უნდა. ამათის აზრით, თუ სახლის მოშორებით არ იქნება გაიდევნილი მელოგინე, სახლი წაებილწებათ, ხატი ხომ არ იყაბულებს და არა, მაშინვე დამიზეზავს. ზოგის ბოსელი ფიცრისხუხულაა, რომელშიაც ქარბუქს ერთის მხრიდგან შეაქვს ნამქერი და მეორე მხრიდგან გააქვს. ფიცრის ხუხულა-საბოსლოს ასრე აშენებენ: ფიცრების ერთ თავს მიწაში ჩასთხრიან, დააყენებენ შაქზედ და თავებს ერთმანერთზე მიუყუდებენ.

მაგრამ ისეთი უბედურებიც-კი არიან, რომ პირდაპირ ცის ქვეშ წმინდა ჰაერზედ მოილოგინებენ ხოლმე. რაც უნდა ციოდეს და უბერავდეს თოვლ-ჭყაპიანი ქარიშხალი, გამწარებული და გაჭირვებული მშობიარე დედა-კაცი მარტოდ-მარტო რჩება ხსენებულ ბოსელში. უბედური ქმნილება არ საიდგანა და არავისგან შემწეობასა და შებრალებას არ მოელის. მისი შემწე მხოლოდ ერთი ღმერთიღაა, მხოლოდ იმაზედ ღაა დამოკიდებული მისი სიკვდილ-სიცოცხლე.

ორსულ დედაკაცს მშობიარობა რომ მოუახლოვდება, მაშინვე ბოსლისაკენ გასწევს, მოამზადებს რაც ბოსლის კუთვნილებას შეადგენს: ავეჯს, ჯამ-ჭურჭელს, დაგვის, დასწმენდავს იქაურობას, ჩააგებს შიგ ჩალას და თვითონაც ჩალაში ჩაჯდება ჩიტი-ჩიორასავით. განთავისუფლების დღიდგან იქ დაჰყოფს კიდევ სამ კვირას ან ერთ თთვეს. მერე მიიწვევენ მღვდელს, რომ განათლოს მელოგინე. ამის შემდეგ მელოგინეს ნება აქვს შევიდეს თავის პატარათი ოჯახში.

მელოგინე ბოსლობის დროს ან თავის ხელითვე მოიმზადებს საჭმელ-სასმელს, ან არა-და ოჯახიდგან გამოუტანენ, მხოლოდ თვითონ-კი არ შევლენ ბოსელში, არამედ მშობიარე გამოცოცდება, გამოიტანს ბოსლის ჯამს, დასდგამს „უწმინდურ ადგილიდგან“ მოშორებით და უკანვე შებრუნდება. ამავე დროს ოჯახიდგან გამოიტანენ, რაც ღმერთმა მისცათ, ჩაუსხამენ ჯამში, პურებსაც იქვე დაუწყობენ და გაბრუნდებიან საჩქაროდვე, რომ ერთმანეთს არ შეეფეთნენ უწმინდური და სახლიდგან საჭმლის მომტანი. მებოსლე ისევ გამოვა ხოხვით, მიცოცდება ჯამთან და რა დაინახავს სავსეს, გაეთრევა თავის სოროსაკენ.

ამნაირად უპატრონოდ დატოვებული ავადმყოფი უწყვეტობის გამო ადვილად ხდება სიკვდილის მსხვერპლად და თუ სიკვდილს გადურჩა, სხვა-და-სხვა ავადმყოფობა ხომ ადვილი მოსალოდნელია. სწორედ ეს მიზეზია იმისი, რომ პირველისა და მეორე შვილოსნობის შემდეგ ხშირად უშვილოსნდებიან და უკვე რომ, ბარელებს ძლიერ ბევრი შვილები რად ეძლევათო და ჩვენ-კი ჯერ არ მოგვცემია და, თუ მოგვეცა, ორსა და სამს ხშირად არ აღემატებაო. რასაკვირველია, დაუშვილოსნდებიან, რადგანაც ბარელები ძროხასაც არ მოექცევიან გაჭირების დროს ისრე, როგორც მთაში დედაკაცებს ექცევიან. დედაკაცი მუშა საქონელ-და ჰყავთ მ. ჩვეული. სასიხარულოდ ზოგიერთებმა უკვე იგრძნეს თავიანთის უგუნურის ჩვეულების უვარგისობა და ბოსლებში აღარ გაჰყავთ ავადმყოფი დედაკაცები, თუმცა ამ თითო-ოროლასაც მაინცადამაინც ქალი უწმინდურ არსებად მიაჩნია.

მარტო მელოგინობის დროს რომ იცოდნენ ბოსლობა, კიდევ კარგი: სამწუხარო ის არის, რომ ყოველ თთვე და თვე გათხოვილი, თუ გასათხოვარი ჰასაკში მოსული ქალი ერთის კვირით ან რამდენისამე დღით მაინც უნდა იმალებოდეს ისევ იმავე ბოსელში განწმენდის ჟამს. სწორედ იმ დროს ერეკებიან კარში საცოდავ დედაკაცებს, როდესაც იმათთვის გაფრთხილება და მოვლაა საჭირო. ამ მეორე ნაირს ბოსლობას არა ნაკლები მავნებელი ზედ-მოქმედება აქვს დედაკაცების ჯან-მთელობაზედ.

ამ ცოტა ხნის წინად აი რა სამწუხარო ამბავი გამოუცხადა ერთმა მღვდელმა ადგილობრივ ბლაღოჩინს მ. კოშორიძეს: „ჩემს მრევლში დედაკაცი გარდაიცვალა მშობიარობის დროს, წესისამებრ შემატყობინეს, მიცვალებული დამესაფლავებინა. მეც წაველი ანდერძის ასაგებადა. სამწუხაროდ რა ვნახე? თავ-მოყრილმა ხალხმა ბოსლისკენ მიმითითა და მითხრა: „აქ არის მიცვალებული, წადი და დამარხეო“. მე ბევრი ვეხვეწე ხალხს შემომყოლოდნენ ბოსელში ცხედრის გამოსასვენებლად, მაგრამ ჩემმა ხვეწნა-მუდარამ იმათზედ არაფერი გავლენა არ იქონია. მიპასუხეს: „მაგას ჩვენ ვერ მიეკარებით, სახლი „შეგვერევაო“. ხვეწნით რომ ველარა გავაწყე-რა, დავავლე მიცვალებულს ხელი და მინდოდა წამესვენებინა, მაგრამ ხალხი მაინც ფეხს არ იცვლიდა ერთის ადგილიდგან. შორი-ახლოსავე მდგომარე ცხედრის მეუღლემ ველარ მოითმინა, მომვარდა და ხელიდგან გამომტაცა მიცვალებული, რომელიც ზურგზედ აიკიდა და ისე მიასვენა სამარემდის. ხალხი მაინც არ მოგვეკარა და შორი-ახლოს მოსდევდა მიცვალებულს“.

ამ ნაირი საჩივრები მღვდლების მხრით ბევრჯელ ყოფილა, მაგრამ აქამომდე ყურიც არავინ გაიბერტყა. ეხლა-კი ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ამ სამწუხარო ამბავს ახლად დანიშნულმა მხნე და კაცთ-მოყვარე ბლაღოჩინმა მ. კოშორიძემ, რომელმაც დაუყოვნებლივ მისწერა ყველა თავის მღვდლებს, რომ ქადაგებით და მამაშვილურის დარიგებით შთააგონონ ხალხს ბოსლობის უბედური შედეგი და როგორმე მოსპონ ამ ნაირი ჩვეულება ხალხში. სთხოვა აგრეთვე ოფიციალურად ადგილობრივ მაზრის უფროსს, რომ იმასაც მოძღვრებისთვის მხარი მიეცა, რათა ერთობლივ შრომით როგორმე მოსპონ ხსენებული მავნე ჩვეულება. ბლაღოჩინმა პოლიციის ყურადღება მიაქცია ერთ ღონისძიებას, რომელიც სრულიად თუ არ მოსპობს ამ ჩვეულებას, ძლიერ შეასუსტებს მაინც. ბლაღოჩინს ჰსურს, რომ ყველა საზოგადოებამ თავის ნებით დაადგინოს განაჩენი ამ ჩვეულების მოსპობის შესახებ და ვინც განაჩენის პირობას დაარღვევს, გადახდეს თანახმად განჩინებისა დადგენილი სასჯელი.

წესდება წინააღმდეგია ა) ქრისტიანული რჯულისა; ბ) ძლიერ აღატაკებს ხალხს, რადგანაც დედაკაცები ყოველ თთვე თვითო კვირას კარგავენ და მშობიარობის დროს ხომ მეტ დროსაც. ზოგნი მღვდლის განათვლას არა სჯერდებიან და მეშვიდე კვირაზედ მოიწვევენ ხევის ბერს სახლის გასანათლავად და მხოლოდ შვიდის კვირის დასვენებული დედაკაცი დაიწყებს სახლში მუშაობას; გ) მავნებელია ხალხის ჯანმრთელობისათვის, რადგან მშობიარე დედაკაცი, თუ სიკვდილს გადურჩა, სიცივისა და უპატრონობის გამო ხშირად ავად ხდება და მთელ თავის სიცოცხლეს კვნესით ატარებს; დ) შეურაცხმყოფელია ზნეობისა, რადვანაც საქონელზედ უფრო დაქვეითებულია დედაკაცი კაცის თვალში და უწმინდურად ირაცხება.

ამ ჩვეულების მოსპობას მაზრის უფროსმაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და დაჰპირდა ბლაღოჩინს შემწეობას.

დავით გორელი

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! მე მთელი წლით გამოვიწერე გაზ. „თეატრი“ და წლის ფულიც გავუგზავნე ამ გაზეთის კანტორას. პირველში მომივიდა მხოლოდ ცხრა ნომერი, ესე იგი ორის თთვისა, და შემდეგ-კს აღარც ერთი ნომერი არ მომსვლია, აგერ მეხუთე თთვე გადის. არ ვიცი ცოცხალია ეს გაზეთი, ისევე სულდგმულობს, თუ არა. თვით იმ გაზეთის კანტორასაც შევეკითხე, მაგრამ პასუხი არ მღირსეს. საკვირველია, თუ ცოცხალია, ნომრებს რატომ არ მიგზავნიან, თუ გაზეთის გამოცემა მოსპეს და, რატომ ფულს არ მიბრუნებენ. საყურადღებოა ვიცოდეთ, მარტო ჩვენა ვართ ამ გვარს მდგომარეობაში, თუ ყველა გაზეთის ხელის-მომწერს ასე უდიერად ექცევიან?..

ალექსანდრე მატატაშვილი
სოფ. კაკაბეთის მასწავლებელი

## უცხოეთი

**გერმანია.** „Memorial Diplomatique“ ამბობს, რომ ბისმარკი ლონდონს აპირობს წასვლასა და უნდა სალისბერისთან მოილაპარაკოსო.

— საარბრიუკენში შემდგარა საზოგადოება მუშათა უფლების დასაცველად. ამ საზოგადოების ყოველ კრებაზე ლაპარაკი იმაზეა უფრო თურმე, რომ იმპერატორი მუშების მფარველი გვე[illegible]

როცა კრება თავდება, წევრნი დგებიან და ძახილით ღაღადებენ სამ-გზის მონარხიის პატივსაცემლად: hoch!

— ამ ხანებში ორი პატარა წიგნი დაიბეჭდა გერმანიის გარეშე პოლიტიკის შესახებ. ერთი Videant Consules და მეორე Cedant arma togae. პირველის უსახელო ავტორი ამტკიცებს, რომ გერმანიის მეგობარი ინგლისია და მტერი რუსეთიო. ავსტრო-ვენგრიის და ბალკანიის სახელმწიფოთა მფარველობა პირდაპირ გერმანიის საქმეაო. მეორე წიგნის უსახელოვე ავტორი ამბობს, თითქო იმ პირველის პასუხად, რომ ინგლისი ჩვენის მტრობის მეტს არას აკეთებს, რუსეთთან საქმე გაიფუჭა ბოლგარიის მფარველობით და ახლა შიშით ელის, რომ რუსეთმა სამაგიერო არ გადუხადოს აზიაშიო. ამიტომ ინგლისი ჩვენის გულის მოპოვებას სცდილობს, მაგრამ ჩვენ ამითი არ უნდა მოვტყუვდეთ, რადგან ინგლისს უნდა სხვისის ხელით ნარი მოგლიჯოსო. ჩვენ უნდა რუსეთს დაუმეგობრდეთ, როგორც წინად იყოვო.

— ბრიუსელის გაზეთ „Nord“-ში რომელიც ოფიციოზურ გაზეთად ითვლება, პეტერბურგელი კორესპონდენტი სწერს, რომ გერმანიის იმპერატორის სიტყვა, წარმოთქმული კენიგსბერგში, ბევრმა მუქარად მიიღო რუსეთის მიმართ დასავლეთ ევროპაშიო. მაგრამ თვით რუსეთში ამ სიტყვამ არ გამოიწვია საიმისო აღელვება. ჯერ არის და საყოველთაო მშვიდობიანობა სუფევს ევროპაში და, რა სათქმელია, რომ სიტყვა გერმანიის იმპერატორისა მუქარას ჰგავდესო; მეორე კიდევ, მაგ სიტყვას უფრო ისე უნდა ვუყურებდეთ, როგორც სიყვარულს ქცევისას, რომელსაც ასე ხშირად იჩენს ახალგაზდა იმპერატორიო. თორემ ერთმანეთობა რუსეთსა და გერმანიას შორის ახლა მეტად სასურველიაო. ამის დასამტკიცებლად მოვიხსენიოთ თუნდა ის გარემოება, რომ უფრო და უფრო დაჟინებით ამბობენ, რუსეთს აპირობს გერმანიის იმპერატორი მოსვლასაო. მართალია, თქმა იმ სიტყვებისა გერმანიის იმპერატორისა სასიამოვნო არ არის, მაგრამ ეს უსიამოვნება ბევრად მოატკბო იმ სიტყვის კილომ, რომელიც მას შემდეგ წარმოსთქვა კანცლერმა კაპრივმა გერმანიის რეიხსტაგშიო.

საფრანგეთი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ არ შეიწყნარა კანონპროექტი რეინაკისა, რომელსაც უნდოდა, რომ ზოგიერთი საქმენი მწერლობაში პრეზიდენტისა, მინისტრებისა, დეპუტატებისა და სხვათა სახელმწიფო მოხელეთა შეურაცხყოფისა და ცილის დაწამებისა განსამართლებულიყო ხოლმე არა ნაფიც მსაჯულთა მიერ; თუმცა ბევრი ილაპარაკეს ამ ცვლილების მომხრეებმა და იუსტიციის მინისტრმა ფალიერმა, მაგრამ ვერა გააწყეს-რა: პალატა დაეთანხმა პელტანს, კომისიის აზრის მომხსენებელს, რომელმაც დიდად გაჰკიცხა სურვილი რეინაკისა. რეინაკი სწუხს ამ საქმის გამო და სწერს გაზეთ „Republique Française“-ში, რომ პალატამ დიდი მიუხვედრელობა გამოიჩინა კანონ-პროექტის უარ-ყოფითაო. სამაგიეროდ „Journal des Débats“-ი დიდს სიხარულშია კანონპროექტის უარ-ყოფის გამო. გაზეთი ამბობს, რომ ეგ პროექტი მეტად კონსერვატორული პროექტიაო და ახლანდელს ჩვენს ყოფაში, როცა რესპუბლიკა სრულიად მტკიცედ არის დამკვიდრებული, თავისუფლებისთვის მეტად საწინააღმდეგოა, ნაფიც მსაჯულთა განსამართლებას არ ექვემდებარებოდეს მწერლობით ჩადენილი დანაშაულობანიო. მაგ რეფორმის აზრი მაშინ დაიბადა, როცა შიში იყოვო და ომი უნდა გამოგვეცხადებინა მწერლობის ზოგიერთ წარმომადგენელთათვისაო. ახლა-კი დრონი იცვალნენო.

— როშფორსა ჰკითხეს, რა აზრისა ხართ ბულანჟეობის თაობაზეო. მან უპასუხა: გათავდა უოკვლივე, არა, გათავდა-კი არა, შესდგა ამ ხანად. როცა გაუჭირდება საფრანგეთს, ისევ ბულანჟეს მიჰმართავს, რადგან ხალხი მარტო იმას ენდობა. გაჭირვებით-კი მალე გაუჭირდება საფრანგეთს. რაიცა შეეხება პატივებას, ჩვენ მაგ პატივებას არ მივიღებთ, არც მე და არც ბულანჟე. არ მივიღებთ ისე, როგორც არ მივიღეთ გამტყუნება უმაღლესის სამსჯავროსი, რომელსაც დაცინვით ვიხსენიებ დღესაც. ვიდრე პატივება იქნება, უნდა ვიცოდე, რა შევცოდე, რა დავაშავე. ხოლო მე დამშავებით არა დამიშავებიარაო.

# დეპეშა

23 მაისი

პეტერბურგი. დამტკიცებულია პროგრამმა თურქისტანის სამეურნეო გამოფენისა, რომელიც უნდა გაიმართოს 15 აგვისტოდგან დაწყებული 1 სექტემბრამდის.

„Гражд.“ იუწყება, რომ აბაშეთის მისსიის წევრები, რომელნიც აპრილის გასულს უნდა გაეგზავნათ, დღესაც პეტერბურგში არიან და ჯერ გადაწყვეტილი არ არის, როდის უნდა იქმნენ გაგზავნილნიო.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ განზრახვა აქვთ დააარსონ მართლ-მადიდებელთა ძმობა სარწმუნოებისა და ზნეობის საქადაგებლად მთელს იმპერიაშიო. უკვე ამ დაწესებულების პროექტის შედგენაც დაიწყესო.

„С.-Петер. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ტვერის გუბერნიის წისქვილის პატრონებმა ლონდონში პურის-საცხობი ქარხანა გააკეთეს იმ აზრით, რომ ლონდონელებს გააცნონ კარგი თვისება რუსეთის პურისა. ამასთანავე ლონის ძიებაა ნახმარი, რომ იმდენი ფქვილი შედიოდეს ლონდონში, რამდენსაც იქაური ბაზარი მოითხოვს.

სატეხნიკო განათლების მუდმივმა კომისიამ შეადგინა წიგნების სია სკოლებში შეგირდების წიგნთ-საცავების დასამართავად. შვიდ სკოლაში უკვე ახლავე ჰმართავენ წიგნთ საცავებს.

პარიჟი. პრეზიდენტმა კარნომ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლითაც ჰერცოგს ორლეანელს ეპატიება მისი დანაშაული. ჰერცოგი ამალამვე გაგზავნილ იქმნება უცხოეთში.

ლონდონი. სოფიიდგან იუწყებიან დეპეშით, რომ მატთეევის გარდა, პანიცას საქმეში გამართლებულები, სახელდობრ რიზოვი, აბლანსკი, სტამენოვი, ნაიაროვი და პანტელეი კასიმოვი გუშინ ღამით გაჰგზავნეს ბოლგარიიდგან ყარაულების თან გაყოლებით სერბიის სამზღვრამდე.

პეტერბურგის ბირჟა, 22 მაისი.

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — | | 6 95 |
| ტამოჟნის კუპონები | — | | 139 |
| მანეთიანი ქაღალდის ფული | — | — | 1,08½ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — | — | 229 |
| —მეორისა | 212¾ | — | — |
| —მესამისა | — | 213 | 210½ |
| გირავნობის ფურცლები ტფილისის ბანკისა | — | — | — |
| ქუთაისის ბანკისა | — | — | — |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | — | — |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდგან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიაში შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი», — სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა

1890 წელს მარტის 17 თანახმად რუსეთის კანონდებულების მე-XI ტომის II ნაწ. 65, 67, 68, 76, 79, 81, 83 და 84 მუხლთა, დაარსდა „ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა“ პირობა ამხანაგობისა უკვე დამტკიცებულია, საწევრო თანხა (პაი) ღირს 50 მან. და შეიძლება მისი შეტანა განაწილებით. წევრი მიიღების, თანახმად ამხანაგობის პირობისა, კანტორაში, ამხანაგობამ შეიძინა წიგნის მაღაზია გრ. ჩარკვიანისა და რ. ფანცხავასი. მსურველთ შეუძლიანთ ამხანაგობის პირობა ნახონ წიგნის მაღაზიაში, ან ქალაქ გარეშე მცხოვრებთ დაიბარონ თავიანთ ხარჯით. ამხანაგობა არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს, თუ საპასუხოდ ფოსტის მარკები არ მიიღო. ამასთანავე ამხანაგობა აცხადებს, რომ წიგნები ისყიდება ნაღდ ფულზე და ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ეგზავნებათ მყიდველის ხარჯით. მსურველთ შეუძლიანთ თავიანთი გამოცემები მიანდონ ამხანაგობას მაღაზიაში გასაყიდად. საკომისიო მიღებულ წიგნებში ამხანაგობა გამომცემელთ აძლევს კვიტანციას, გაყიდულ გამოცემის ფული მსურველთ აუცილებლად ეძლევათ თხოვნის მეორე დღეს. ვისაც რაიმე ნაწერები აქვს გამოსაცემი და სურს გარდასცეს ამხანაგობას, — ვთხოვთ მიჰმართოს ამხანაგობის გამგეობას. მიღებული ნაწერები გარდაეცემა განსახილველად სარედაქციო კომისიას, რომლის მიერ მოწონებულ ნაწერების დაბეჭდვას ამხანაგობა და გამოაცხადებს გაზეთ „ივერიაში“. ამასთანავე ამხანაგობა კისრულობს ნაწერების დაბეჭდვას გამომცემლის ხარჯით, ხოლო შრომის ფასად იღებს რედაქციისა და კორრექტურისათვის გამოცემაზე დახარჯულ ფულიდგან 15%.

ადრესი ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის: Тифлисъ, правленію „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликовская ул., д. Зубалова, грузинскій книжн. магазинъ. (7–4)

# კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ



და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ენახვება გაფუჭებისაგან, უმთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106. (208—14)



სატუალეტოდ სახმარებელი ქალთათვის

არქენის ხის ბალზამი დ-რის ლენგილიასი.

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას და ხელ-მოწერილს ჩვენის ერთად ერთ აგენტის ვასილ აურიხისას ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნი ქუჩ ზედ, 18—19. Ваатурихъ

ფასი: შუშა ღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ოპო-პომადა (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ღირს 70 კ., აზიის რუსეთს 1 მან.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

ტფილისს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ვ. გრიგნაკთან, გ. ა პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან. (19—7)

# ქაქორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შესწორებული გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.


Доз ценз. Тифлисъ, 24-го Мая 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე